კვირა 14 მარტი

ფასი 10 კაპ.

ყოველ-კვირეული იუმორ. ჟურნალი.

კანონმდებლები!

პრ. მინისტრი. ეგრე არ შეიძლება, ბატონებო, სირცხვილია! შემთხვევით, კანონ-პროექტებში მრეცხავი ქალის ანგარიშები ჩამრჩა. თქვენ აგილიათ და დაგიმტკიცებიათ. ყველაფრის დამტკიცება არ შეიძლება, ბატონებო, სირცხვილია!

ხომიაკოვი. ?!?

„შობა“

მადათოვის კუნძულს ტკბილათ ეძინა. აქა-იქ, კანტი-კუნტათ მოსჩანდენ წესიერების დამცველნი, მაგრამ რადგანაც დასაცავი არაფერი იყო, სადმე კიბეზე ჩამომჯდარნი გულმოდგინეთ ამთქნარებდენ.

შუაღამის თორმეტი საათი იქნებოდა, როცა მტკვრის მარჯვენა შტოზე მოისმა მოულოდნელი ჩქეფა სიცხისაგან ამწვანებული ტალახისა და ნაპირს ლაღი მედიდურობით მოადგა პატარა, კოხტა ნავი. სულ ნახევარი საათია, რაც ის ,,პარიჟიდან'' გამოვიდა [1]. ახალგაზრდა ,,მენავე'' მარდათ გადმოხტა მადათოვის კუნძულის ტერიტორიაზე, ცოტა აბნეული თვალებით მიიხედ მოიხედა ირგვლივ და რაკი ვერავინ შენიშნა, მშვიდის ნაბიჯით გაემართა მ. გაჩეჩილაძის გამოქვაბულისაკენ.

კუნძულის მცხოვრებნი მეცხრე ,,ძილის პირს'' ხვრინავდენ. ერთად-ერთი ხრინწიანი ,,შანტეკლერი'' ნამთვრალევ თავადიშვილივით ხლიჩინებდა, ხოლო ის დიდებული ამბავი, რაც გაჩეჩილაძის გამოქვაბულში ხდებოდა, ამათთვის და მრავალ ამგვართათვის ასკეცი საიდუმლოებით იყო მოცული.

აქ, აი ამ ნესტიანსა და ბნელ გამოქვაბულში, შუაღამის თორმეტ საათზე[2]) იშვა ქვეყნად ,,**მეოთხე დასი**''!!)

ჩვენი ნაცნობი ,,მენავე'' ეს დახელოვნებული ,,ბებია'',[3]) მოწამე ,,მესამე დასის'' მოვლინებისა, და ,,გარდაცვალებისა'', დღეს ადვილათ და ხელ მარჯვეთ დაუხვდა თავისს ძნელ მოვალეობას.

— ,,მეოთხე დასი,'' ეგ ჩვენა ვართ ამხანაგებო! ტკბილი ხმით აუხსნა მან დამსწრეთ. ჩვენ დღეს დავიბადეთ სულიერათ და დავიბადეთ იმავ სათავისაგან, საიდანაც ,,მესამე დასი''.

მიხა გაჩეჩილაძეს ძლიერ გაუკვირდა: რომ ის, კარგა ხნის დაბადებული ყოფილა და რომ დღეს ხელმეორეთ იბადება ,,იმავ სათავისაგან'', საიდანაც „მესამე დასი'' დაიბადა.

— სწორეთ ვერ გამიგია, დაიწყო მიხამ,—თუ უწინ დავიბადე, ახლა როგორღა ვიბადები და თუ ახლა ვიბადები უწინ როგორღა ვიყავი დაბადული?

— ეგ არაფერია! მიუგო ,,მენავემ;—შენ მაშინ დაიბადე ხორციელათ ანუ მატერიალურათ, ხოლო დღეს იბადები სულიერათ, ანუ იდეალურათ.

მიხა გაჩეჩილაძეს ძლიერ მოეწონა ეს პასუხი, ვინაიდან ის განხორციელებული, ანუ გაუსწორებელი იდეალისტია და უკიდურესი სიამოვნების ნიშნათ ორ-სამჯერ ნერწყვი გადაყლაპა.

— ეს ძალიან კარგი, რომ ახლა ჩვენ სულიერათ ,,ვიშვებით'', დაიწყო სევასტი გაჩეჩილაძემ, მაგრამ ერთი ვერ გამიგია: ,,იმავ სათავიდან'' სიდანაც ,,მესამე დასი'' იშვა ხომ ისევ , მესამე დასი უნდა შობილიყო და ჩვენ კი ,,მეოთხე'' ვართ?

— ეს არაფერია, ეგ თუ ნებას მიბოძებთ აღვნიშნო, პატარა გაუგებრობა ანუ პატარა სისულელეა და აიხსნება იმ გარემოებით, რომ ადვილათ შეიძლება დიდმა კაცმა პატარა სისულელე მოახერხოს..

— გმადლობთ, გმადლობთ, ეს მართლაც ახლა გახდა ჩემთვის ადვილ მისახვედრი, როცა თქვენს მაგალითსა ვხედავ: თუ რა ადვილად ეხერხება პატარა კაცს დიდი სისულელე.

ბ-ნ ,,მენავეს'' შერცხვა, რამდენათაც ეს შესაძლებელია მის მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის და რომ ,,მეოთხე დასში'' განხეთქილება არ გამოეწვია ამჯობინა უპასუხოთ დაეტოვებია სევასტის მწვავე სიტყვები.

— მე შემეძლო თქვენთვის საკადრისი პასუხი მომეცა, დაიწყო მან,— მაგრამ ჩვენი მიზანია მთელი საქართველოს შეერთება, ერთ ბანაკათ შედუღება და მათი ერთი აზრით გამსჭვალვა.

— მხოლოდ ვაჟა ფშაველას ნუ გავურევთ... პირდაპირ აუტანელი კაცია! ჩაურია მიხა გაჩეჩილაძემ.

— ეს თავისთავათ ცხადია, დაამშვიდა ,,მენავემ'', ვაჟა-ფშაველა თავდაპირველათაც სხვა ,,სათავიდან'' იშვა.

მიხამ სიამოვნების ნიშნათ ერთი-ორჯერ კიდევ გადაყლაპა ნერწყვი.

— მე მაინც ვერც გამიგია: ჩვენი მეორეთ დაბადება რაღა საჭირო იყო, ცოტა დარცხვენით დაიწყო სევასტიმ. ორჯერ სიკვდილი კიდეც გამიგონია და კიდევაც გამომიცდია, მაგრამ ორჯერ დაბადება, ეს ჩემთვის მიუწდომელი რამეა.

— შე კაი კაცო, როგორ ვერ გაიგე, რომ ჩვენ სულიერათ ანუ იდეალურათ ვიბადებით?.. ნუ თუ ამას დიდი გაგება უნდა.

— სწორეთ რომ დიდი გაგება არ უნდა და მიკვირს რა ღმერთი გიწყრება ასეთ განათლებულ კაცს ეს ვერ გაგიგია. მე თავდაპირველათაც იდეალურათ დავიბადე: ჯანი არ მაკლდა და ტანი, ჭკუა და ღონე.

— ჩვენ თუ ეგრე დავიწყეთ „მეოთხე დასი“ ვერაფერი ხანგრძლივი გამოდგება!

— ეგ თქვენზეა დამოკიდებული. ჩვენ შავი ხალხნი ვართ. თქვენ უნდა აგვიხსნათ და განგვიმარტოთ ყველაფერი. შენიშნა მიხამ.

— არა, ჩვენ უწინარეს ყოვლისა ქართველები ვართ. აქ «შავი» და „თეთრი“ მოსატანი არ არის. კიდევაც მაგან დაღუპა „მესამე დასის“ საქმე. მოსდგენ და დაანაწილეს საქართველო ათას ნაირათ: ეს მუშაო, ეს მღვდელიო, ეს თავადიო, ეს გლეხიო, ეს ვაჭარიო, ეს ნოქარიო და ვინ იცის კიდევ რას არ მოიგონებდენ, რომ ამ რეაქციას არ მოესწრო, და ჩვენთვის, „მეოთხე დასისათვის» მათგან გზა არ გაეწმინდა.

---

[1]) შეიძლება მკითხველს ეუცხოვოს ეს განსაცვიფრებელი სიჩქარე, მაგრამ გასაფრთხილებლათ მოვახსენებთ, რომ «პარიჟს» ხშირად ღვინის სარდაფებსაც არქმევენ ხოლმე.

[2]) თორმეტი საათი საზოგადო დროა ყოველგვარი შობისა.

[3]) «ბებია» რასაკვირველია სამსახურით და არა სქესობრივი მნიშვნელობით.

—სხვისი არავისი ინტერესი არა მაქვს და ხუცები კი არ მიყვარს, შენიშნა მიხა გაჩეჩილაძემ.

— ხუცები კიდევ სხვებსა სჯობიან! ჩემი აზრით თავადები არ არიან მისაღები, დასძინა სევასტიმ.

— შენ თაობიდანვე გიყვარდა „მაკარიოზები', მოუჭრა სიტყვა მიხამ.

—არ ღირს, ამხანაგებო, მაგაზე კამათი. ეხლა ჩვენი «იდეალური» ანუ სულიერი შობის აღსანიშნავათ საჭიროა ხორციც ანუ მატერიალური ჩვენი სახიერებაც ვასიამოვნოთ

— ესე იგი მოკალხინოთ, არა?

— რაღა თქმა უნდა მოვალხინოთ.

— მაგრამ ვიდრე ჩვენი, ,,მეოთხე დასი'', სხეულისათვის ზრუნვას შეუდგებოდეს, დაიწყო ტკბილათ ბ-ნმა ,,მენავემ'', საჭიროა ეხლავ დავნიშნოთ დრო და ალაგი ჩვენი ,,მეოთხე დასის'' წევრთა საზოგადო კრებისა.

— ჩინებულია! წამოიძახა სევასტიმ. გთხოვთ მობრძანდეთ ჩემს საკუთარ სახლებში ,,ახალშენში'' ან ,,საპურთალოზე''.

ყველანი დაეთანხმენ და შემდგომად ამისა ასეთივე თანხმობით ჩამოეშვენ მტკვრის ნაპირას, სადაც მათ უცდიდა წელთამდე ტალახში ჩაფლული ნავი, ჩასხდენ და შეუცურდენ.

ნაშუაღამევის პირველ საათზე წარმოითქვა პირველი სადღეგრძელო ახალ-შობილი ,,მეოთხე-დასისა'', რომლის სამი მამათ-მთავარი აღტაცებით ულოცავდენ მიკიტანს ამ ბრწყინვალე ამბავს.

ეშმაკი.

---

* *
*

ცრემლო, შეშრი, ნუ გადმოქუხ,
გულო, უძელ ტირილს, ვნებას...
კვლავ მოიტანს ისევ მოსე
სინაის მთიდან ათ მცნებას!..

კაეშანო, ფრთა შეკვეცე,
გულს, იმედო, ახმიანდი,
ცის ტატნობო, მოკუპრულო,
დამანახე განთიადი!...

ქარო, სისინს დაეხსენი,
კმარა რაც თავს დამატირე!..
სატრფოვ, გული მოიბრუნე,
ჭევედრები ნუ გამწირე....

ნაკადულო, ადუდუნდი,
დაეკურე ტურფა იას...
ბულბულო, შენც ახმატკბილდი,
ველოდები ტია-ტიას...

ცრემლო, კმარა! ლოყას ნუ წვავ,
ყური უგდე ჩემს ვედრებას;
კვლავ მოიტანს ისევ მოსე
სინაის მთიდან ათ მცნებას...

ვ. მალაქიაშვილი.

დეპეშები.

(ლიკლიკაძის სეგენტო)

ხვარბეთი (შემდეგი). ,,ეგზეკუციონი'' იუბილეის გამო დაჯილდოებულ იქმნენ უმთავრესი ჯილდოთი: გრიგოლ (იგივე) „პოჩვერა" ქარცივაძე. მეორე ხარისხის ჯილდო მიიღეს ისაკი მალაზონიამ, იოსებ მურვანიძემ, გიორგი ვასაძემ, დიომიდე კობალავამ, ფ. ტუღუშმა და სხ.

ქების ფურცლები დაიმსახურეს კახურის მამასახლისმა ერმალო შარაძემ და მწერალმა იესე არობელიძემ. საჩუქარი ებოძათ (კაკაც-ხუხალია-ოღლის მიერ ნაკურთხი მართახი) გიორ. ვასაძეს, მალაზონიას და იესე მურვანიძეს.

გვარათ ქარცივაძეების უმეტესობა (მარინეთურთ) წარდგენილ არიან საცა ჯერ არს.

ლანჩხუთი. საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა მეცირკე კალანდაძის ნიჭმა მხეცების (სხვათა შორის ღორის და მგელის) გაწვრთნის გამო: ერთხმათ გადასწყვიტეს არსად არ გაუშვან კალანდაძე, დაუნიშნონ პროფესორის ჯამაგირი და მიაბარონ აღსაზრდელ—გასაწვრთნელ—გასაშინაურებლათ ყველა ისინი, ვისაც დღეს თვით ხალხი . . . . . .შვიდებლათ. თუ რა იტყვის კალანდაძე, ეს შემდეგ.

შუხუთი. საზოგადო კრებამ მიანდო ცნობილ სიძეს (Батумскій Вѣст-ის გურულ სიძეს) სამადლობელი ადრესის შედგენა და მირთმევა ინსპექტორ კოწია მაჭავარიანისთვის, იმ ფელეტონის გამო, რომელიც მან მოათავსა ბათუმის გაზეთში და რომლითაც დაიცო შუხუთლებისათვის „მარინკი" სასწავლებელი თავის ყველა „ოტდელენიებით".

ნიგოითი. მღ. ლავ. იოსავას ორასზე მეტი მაზიარებელი ყვანდა, რისათვისაც ის უღრმეს მადლობას სწირავს ადგილობრივ მთავრობის მამასახლისს თავის სტრაჟნიკებით.

ლანჩხუთი. „მედიცინსკი" ფერშალმა მელიკიდზე—მელიქეციანმა აღმოაჩინა ხუნაგის (დიფტერიტის) უებარი წამალი, რომლის მიღების შემდეგ ლ—მაძის ბავში (აქ დამახინჯებულია...)

ჭანჭათ—ზომლეთი. ცნობილი ლევარსი ქოსა-გოჯა ვადაჭკორია ითხოვს, შემოღებულ იქნას აკეთში მთავრობის მამასახლისი. დაჯილდოებულ იქმნას უმაღლესათ მამის ძის და შვილის. . . (ვერ გავარჩიეთ) გამო დაენიშნოს პენსია, როგორც საუკეთესო ტკბილ ენოვანს. ჯერჯერობით ასეთ თხოვნაზე ხელს უწერს მხოლოთ ლადიმე....

საქველმოქმედო ამბორი.

თითონ რაკი არ მენახა,
აღარც სხვისაგან მჯეროდა:
თურმე სახალხო სცენაზე
ვან ბრანდტის ქალი მღეროდა.
,,თფილისის მუშებისაგან‘‘
ადრესი დაიწეროდა ..
(ისეთი შინაარსისა,
დამწერთ რო შეეფეროდა!)

მომღერალ ქალსა ადრესი
საშინლათ მოეწონოდა,
,,მუშების‘‘ თანაგრძნობითა
ალბათ გულს მოეფინოდა.
ერთ ავტორთაგანს იქავე
გადახვევ-გადაჰკონოდა,
ჩაუკოცნავი ადგილი
სახეზე არა ჰქონოდა.

ზღვის პირათ.

I

უკვე დაბინდდა. ჩამავალი მზისა სხივები
უკანასკნელად ციალებენ ზღვის ზედა-პირზე.
ზვირთნი ჰგალობენ საიდუმლო რაღაც სიმღერას,
თან რიგ-რიგათა მისცურავენ ხტუნვით ნაპირზე.
ჩუმი ლიკლიკით უკოცნიან ტუჩს ცივ ნიადაგს,
შემდეგ უკანვე მხიარულათ დაბრუნდებიან,
და იმათ ნაცვლად სხვა ახალნი სტიქიის შვილნი
კვლავ საამბოროთ დარაზმულნი ესტუმრებიან.
შორს, იქ, კუნძულთან თოვლივითა თეთრი გედები
ლაღათ სცურავენ... მოღუღუნე ტალღათ დენასა
ყელ-მოღერილნი სიხარულით ეგებებიან,
ხმას შეუწყობენ მათ გალობას, ტკბილ სიმღერასა.
გრილი ნიავიც დასავლიდან მოჰქრის სისინით,
ის კი, ის რაღაც მწარეს მოსთქვამს თავის ნანაში,
ზღვის ირგვლივ მორტყმულ ბუჩქ-ბალახებს კვნესით
მოუთხრობს,
თუ რა მომხდარა სადღაც, უცხო, შორს ქვეყანაში.

უამბობს: ,,ვნახე ფოთოლი
ჩამონაწყვეტი ქარისა,
ძალით შორს გადატყორცნილი
შვილი აი ამ მხარისა.
ფერი არ ჰქონდა... ყინვასა
იგი სიცივეს უჩვევი,
აჩრდილსა დამსგავსებოდა
უგზო-უკვალოდ ნათრევი.
იღუპებოდა... ტანჯული
ნატრობდა თავის მშობელსა,
მაგრამ ამაოდ!.. მუდარა
აღარ ესმოდა სოფელსა“.

და ხმა ჩაკმიდა, აქ შესწყვიტა მან ეს ამბავი,
მთის ორწოხებში გადაიჭრა მარდათ მფრინავი,
მხოლოდ ზვირთებმა ეს სიტყვები გაიმეორეს
გლოვის ბუტბუტით ამცნეს იგი ერთი მეორეს.

II.

ფიქრთა ტალღებო! ჩემ ნაღველთა მუდმივნო
შვილნო,
თქვენც ხომ ამ გულსა ლიკლიკითა ესაუბრებით?
თქვენც ხომ უკუღმართ ცხოვრებისა მარად ნიავი
მწარედ გატოკებთ, ამ სოფლისა მწარე ამბებით?
ჩემო ყვავილნო! ნუ შეშფოთდით ამ შეკითხვაზე...
თქვენს ერთგულ მგოსანს ნუ ამიშლით შაესა
ნაღველსა,
მ'შვიდათ, თამამად შეეგებეთ ჭირს შემოჩვეულს...
განა არ იცით არ ვჩვევივარ ოთქმა-ცრემლებსა?
ან რაღას გვარგებს?.. ცრემლი მხოლოდ გულს
აძლევს შვებას,
გარეთ მორეკავს შიგ დანაბუდ მწარე ვარამსა
მით კი გასაჭირს ბოლო მაინც არ მოეღება
სევდასა ისევ სევდა მოსდევს, ტანჯვა ტანჯვასა.
მაშ რად დავკარგოთ, ჩვენვე გვქონდეს ჩვენი ვარამი,
შეჩვეულ სტუმარს ძველებურათ მივსცეთ სალამი,
რომ თავის დროზე ცეცხლის ალად გულში აფეთ-
ქდეს
და გაგვამხნეოს .. ბრძოლის ჰანგზე ჩანგი ამღერდეს.
ხედავთ? ცრემლის ტბა დასავლისა ქარის სისინზე
ნელა ირხევა... ჩაგრულ თვალთა ჩამონადენი,
ზედ უშიშარად დახარხარებს ბოროტი სული
ჩვენი მიზნისა და სიცოცხლის დამგმობ-წამხდენი.
მას ცრემლი ატკბობს... მაშვრალთ ცრემლი სიმხნე-
ვეს მატებს...
გულ-მხიარული გამარჯვებას დღესასწაულობს...
ოჰ მშვიდათ, მშვიდათ! ნუ ატოკდით... სჯობს და-
ვუმტკიცოთ
რომ ის მიზანი ისევ სცოცხლობს, ისევ სულდგმუ-
ლობს!

III

ახ, შენ კი ტალღავ, უდარდელო, სტიქიის შვილო,
თავისუფლების შეუმწიკვლელ მკერდზე შობილო,
ნუ, ნუ დასცხრები, შეარყიე უფსკრული ზღვისა
მით მომალხინე განდევნილი შვილი სოფლისა.
მიყვარს მე ომი... მიყვარს ბრძოლა უფლებისათვის,
მიყვარხარ შენა, რომ მზადა ხარ მარად მტრისათვის
და მუდამ გაქებ... ჩემ გულის თქმათ ვერ ვმალავ,
ვერა
ჰა ყური მიგდე, გაიგონე ჩემი სიმღერა.

მსურს რომ ვიყო მძლავრი ზვირთი
ზღვის მკერდიდან მოხეთქილი,
თავისუფლად მხტუნავ-მსრბოლი
მტრის ზარ-მეხათ მოვლენილი.
სულ ვტოკავდე
სულ ვშფოთავდე
ვერ მბოჭავდეს მტრისა ძალი,
ბილწთ ვმუსრავდე
უფსკრულს ვნთქავდე
თვით ტკბილ ჰიმზე მომღერალი.
კლდეს ვანგრევდე,
ამაყს ვძლევდე
ვიკაფავდე ხსნისკენ გზასა,
ფრთას ვასხამდე
ტახტზე ვსვამდე,
ჩაგრულთ დევნილ იდეალსა.

ხომ გესმის ტალღავ? ხომ გეამა ჩემი სიმღერა?.
მაშ აბობოქრდი, აატოკე შენ სხვა ზვირთები,
მიყვარს ბრძოლის ხმა... ზვირთთა გმირულ სრბო-
ლა-ქუხილზე
გაიფანტება გულის ბოლმა, მწარე ფიქრები!

ნ. ჩხიკვაძე.

გურული სცენა.

(„მარინცკი კლასი“—ლანჩხუთ-შუხუთისათვის. კესა ლანჩუთელი, ლისა შუხუთელი).

— ჩემო დაიავ, ლანჩხუთი არ ვარგაო, ყორიფელობამდი რომ დაგვბრაკეთ, თვარ ვარგა ჩემი დაიეი, რა გინდებიან ამ გალანძღულ ქვეყანაში, ყოლდღე რომ აქანაი ?ძანდებით—ვისაც გავლანძღავ, ვისაც გავთათხავ, იმას არც კი წივეკარები—მადლობა ღმერთს, ყორიფელ კას მიესრება კაცი—თქვენი ყბაის საქცეოც შევიქენით.

— ჯვარი გწერია, ჩემო კესა, რეტუმ იკადრებ, ყბაის საქცევი რა გიჭირთ. მარა არც ჩვენ ვართ ასე მის ფოცხავი. ჩვენც ნუ გეგონებით უკანოლოდ დაბადებული, ჩვენც თქვენი საზოგადოების ვართ, ყორიფელი გადასახადიზა თუ კი მოგვაკითხავთ, რაცხა ჩვენც უნდა გვეკითხებოდეს. ყორიფელი რომ თქვენ გინდებიან, რაცხა ჩვენც გვახვედრეთ პაწეი ნიორთა ნაქურჩელაი. თქვენ, ღმერთმა გითაოს, სხვაიც გეყოფიან და აგი მარინცკი კლასი ჩვენ დაგვანებეთ.

— უკაცრავათ კი ვარ დაია, მარა მანამდი აფერი გეტკინენ, რას ჩივი ჩემო დაია, ამისანაი განათლებული ადგილია და სატურიაში დაგანებოთ კლასი? სტანცია აქანაია, ბალნიცა, გოროდის კლასი, სასოფლო ორკლასიანი პრიხოდის, პრისტავი აქანაია და მამასახლისი, ბიბლიოთეკა და მალაზიები, ახლა კიდევ ტრიატს ვაკეთებთ და ევილოთ და თქვენ დაგანებოთ—მაგი რაფერ იქნება, გულში თუ გეიფიქრეთ—ენას რავაც გინდა ისე გაარაკუნებ, მარა პირიდან რაფერ წამოგივიდენ მაგი საშინელი, ხომ დაგვიძლექთა ციცაები გამოყრუებულ შუხუთში?

— თუ ქალი ხარ, თქვენ სიკეთეს ყორიფელს ნუ მათქმიებ—ტომარში ქფილი არ გეგონო, ჯვარი დამწერე, თქვენი სიკეთე ქეა რუსულ გაზეთში, მარჯვენა უკეთთა, კარგათ შეუმკვიხართ ლანჩხუთლები ინსპექტორ მაჭავარიანს. ყორიფელი მართალი უთქვამს—ლანჩხუთშიო წყალი არ ვარგა და ჰაერიო, ქალი და კაციო, გადიბზიკინებენ ულვაშებს ყმაწვილი კაცებიო, ქალიშვილებს ეხუნტრუცებიან და ლექსებს უგიტარებენო, შუხუთში ყორიფელი კაიაო: წყალიც და ფთის ჰაერიცო, არც ანშიყობა იქნება და არც აფერი, პატიოსანი კუთხეაო.

— გამოჩერჩეტებულა ჩემო დაიავ თლათ, ან და დაგიქთამავენ. ჭკვიანმა რა თქვა შენ იგი მითხარი, თვარა დაბლონწებული ბერიკაცი რას იტყვის, რა მოსახსენებელია. აბდლის მეტი ამას რავა იტყვის—შუხუთი ლანჩხუთიდგან ორ ვერსზეა—ბახმარო არც იქინეია და არც აქანაი, დაყუდებული ბერები და მალაზნები არც თქვენშია და არც ჩვენში. ქარ გეიმტყუნე შენი თავი. კლასი იმიზა მინდა, რომ ციცაი გამიზარდოს, თვარა ამალაზვნება რომ მინდოდეს, ეგერ გავაგზავნიდი ჯიხეთს. სწორებ გითხრა ჩემა ციცამ აბძანდიც უნდა იცოდეს, დაბძანდიც, გიტარაც და ლექსიც, წერა და კითხვაც, მაგი რამ გათქმია? ყორიფელს რომ გუუძლოთ, იმხელა გადასახადს დაგადებენ, რომ აგეწობა. ან ორი პუზუნაი შუხუთლები იმას ვერ გუუძლებთ, მერე ქე ჩეიკვნიტავთ ჩარბს, მარა რა დროის იქნება,

— ჩემი დაიე, თქვენ თქვენი სატირალი იტირეთ, ჩვენ გუუძლებთ თუ არა, იმას თქვენ არე კაცი გკითხავს, ახლა რომ გვიცოდვებ, როის იყო რომ გეცოდვებით.

— ა დათვი და ა კვალი, გამქცევი და მიმწევი ორივე ღმერთს ეხვაწებაო. მარა იმდენი დაფაცურდით, კობზი არ ჩაგივარდენ ნაცარში, თვარა მე რა მენაღვლება, ნეტაი ყულიკაცის ეზოში იყოს თითო კლასი.

— მაგის მჯავრი ნუ გაქ, ჩემო კესა, თუ ჩაგვივარდება, გაწმენდაზე თქვენ არ მოგიხმარიებთ.

პიტნა.



ხ ო ბ ი ს „ბ ა ლ ნ ი ც ა ს.“

(შხასკოლასებური.)

,,ბალნიცავ'', ჩემო ,,ბალნიცავ''
დგმულო ხობის წყლის პირათა!
ექიმი ძველი კაცი გყავს,
მხოლოთ გნახულობს ძვირათა,
ან როს გნახულობს რათ გინდა,
შენთა ,,პაციენტთ'' ჭირათა?
,,ბალნიცა'' ხარ თუ ბოსელი,
ქცეულო ნაგავ-წვირათა?!

—

როს კაცი მოდის,—შეკრთები,
სირცხვილით გაიწურები
უექიმ უჯაინოზო,
სიცოცხლე მონამდურები...
ფერშალთა შენთა ამარად
რა საწყლათ გაიყურები!.
უძალლო ქვეყნად კატა ჰყეფს,
უმგლოს ჰყავიან ტურები!..

—

უსარგებლოსა, უჩემურს—
რას ვაქნევ—სარაიასა!..
სულით და გულით შევხარი
ჩემ ქოხმახ კარაიასა!
რას ვაქნევ ხობის „ბალნიკას“
არავინ- არაიასა!
თუ გამიჭირდა, მივმართავ
ნიკოლა ცხადაიასა:

—

მოვლით ხომ მაინც მომივლის,
ველარ დამაზრობს ციება,
ველარ დამძალავს ანთება,
ვერცა-ლა თავის ტკიება:
ჩვენ ფერშალთ უკეთ მან იცის
სატკივრის გამოძიება,
ავათმყოფთ გასამხნევებლათ
ტკბილი სიტყვების ,,ჩიება!.''

—

და შენ კი, ხობის ბალნიცავ,
გდიხარ მტრის გასახარათა!
უექიმ-უჯაინოზო,
ფერშალთა ანაბარათა..
ბეჩავათ გაიყურები,
არ ღირხარ არც ერთ ფარათა,
ნატრობ, დღეს ,,პაციენტები''
კარს რომ გდგომოდენ ჯარათა!..

—

,,ბალნიცავ'', ჩემო ,,ბალნიცავ''
დგმულო ხობის წყლის პირათა,
საქმი დღეს უპაციენტოვ,
დახშულო უქმე-კვირათა,
ექიმი რომ გყავს, ვიცი და
რატომ გნახულობს ძვირათა!!
მითხარი: ბინათ ოთახებს
და ფულს ხომ აძლევ-ქირათა?!.

ონისიმე.



სანაგვე პოეტები

(ბიბლიოგრაფიის მაგიერ)

ამბაკო ბ. მაღრაძე.

„ძმანო ამ სოფლის საცნობლათ
ეს ჩხაბვა მამიგონია,
პოეტსა ააქვს ქებავო
რაკი ეს გამიგონია".

უბედური შემთხვევა ყოველთვის ასე იწყება ხოლმე! რომელიმე უსაქმო ყმაწვილი ,,გაიგონებს'' სადმე ,,პოეტსა ააქვს ქებავო'' და არც აცივებს, არც აცხელებს, დაიწყებს ,,ჩხაბვას''.

ასე მოუვიდა პატივცემულ ამბაკო მაღრაძესაც, რომელიც არის მარელისის მცხოვრები. მართალია იგი:

«არ არის ნასწავლი,
ვერც ხარჯა მასზე ქესები,
ღმერთმან უბოძა გონება
ამ გვარად დასათესებრ.»

მაგრამ სამწუხაროდ ,,მთესველიც'' ვერაფერი შვილი გამოდგა და ,,სათესლეც'' ფუჭი და უვარგისი. აი თუ ჩემი არა გჯერათ თითონ მოისმინეთ:

«რა მოსკდეს აზრი უზომოდ
ვარ კალმით მისდა მხლებელად,
ვზივარ მაღრაძე, ლექსსა ვწერ
ზოგთათვის შესამკობლად».

აი ვსთქვათ ,მოსკდა'' ბ-ნ მაღრაძეს ,,უზომო აზრი'' და თითონაც იქვე ზის, კალმით მხლებელად'' და დასწერა ლექსი შესაქებელი. ვნახოთ, ვინ შეაქო და როგორ შეაქო:

„მე მიყვარს კაცი მოღვაწე
შრომისთვის ოფლის დამღვრელი,
მელნის ჭიქად ქნას გიშერი
და მელნათ თვისი ნაღველი.
კალმად იხმაროს თვის ენა
ñით სიტყვა წამონაღველი,
და ლექ ად შესვას ყოველი
ამ სოფლის ამონაღველი''.

აი რა ,,უზომო აზრი მოსკდა', ბ-ნ მაღრაძეს. ის შეხვდა მას ოფლის დამღვრელი, ხელში ეჭირა თავისი ენა და მელნათ ედგა თვისი ნაღველი. ლექსად გამოსთქვა ამ სოფლის:

„ამონაღველი"
„ჩამონაღველი"
„გამონაღველი
„წამონაღველი'
„გადანაღველი'
„გადმონაღველი"
„უკუნაღველი"
„მიმონაღველი"
,,ზემონაღველი''
,,შემონაღველი'' და მრავალი სხვა ,,ნაღველები'', მაგრამ მაინც არაფერმა უშველა.

აი ასე დაიწყო ,,თხუზვა'' ლექსებისა ბ-ნმა ამბაკო მაღრაძემ და რაც აქამდე მოვიყვანეთ, ყოველივე ეს და მრავალთ-უმრავლესი ამგვარები მოათავსა მარტო ,,წინასიტყვაობაში''. შემდგომად წინასიტყვაობისა, როგორიც ,,პოეტი კაცი'' ეს ეწვია ,,ბულბულს''.

„ჰე შ ვხედე ფრთოსან ფრინველს*)
ვსთქვი რა გრძნობით უხარია,
მე მეგონა სიხარული,
თურმე გულით მწუხარია.
დასტიროდა თავის ბედსა
ცრემლთა გადმომქუხარია
სთქვა თუ ვერავინ ამამყარა
სოფლის გულის ბუხარია''.

ხედავთ? საწყალი ბულბული!!! იჯდა თურმე ,,ცრემლებ გადმომქუხარია''!.. მარელისში ამბობენ. ბ-ნ ამბაკო მაღრაძეს ამ ,,გადმომქუხარე'' ცრემლებთან წისქვილის მოწყობა უნდოდა, რადგან აქეთ საწისქვილე წყალი ძვირობსო, მაგრამ ბულბული გაფრენილიყო. ესეც უბედურება პოეტისა!!!

შემდგომად ,,ბულბულისა'' მგოსანს რაღა თქმა უნდა ,,მელანი'' გაახსენდებოდა, რადგან:

,,მელანმა სთქვა საქები ვარ
მაგრამ არ სთქვეს ჩემი ქება,
ჩემგან მაგრობს ყველაფერი
სიტურფე და ეს შეკრება.
ზოგჯერ ტკბილი ზოგჯერ მწარე
სრულათა მ ქვს რიცხვანება
თეთრზე შავათ დავეტყობი
პოეტით მაქვს რადგან ნება.
თუმც არა ვარ ტანათ დიდი

*) გასაოცარი მოვლენაა! მარელისში ფრინველები თურმე ფროსანები ყოფილან და ბულბულიც მათ შორის.

ღვთით რისხვა მაქვს ძალიანი,
თეთრ პირა და საქმით ტურფა
შავ გიშერა თვალიანი!"

ერთი სიტყვით, დღემდე არავინ არ იცოდა, თუ რა გემოსი იყო მელანი, რადგან ,,პოეტები'' კალმით სწერდენ, ხოლო ბ-ნმა მაღრაძემ გამოიკვლია მისი გემოც, ვინაიდან ,,კალმათ'' მას ,,თვის ენა'' უჭირავს. არც ის არავინ არ იცოდა, თუ რა ,,ტანისა'' იყო მელანი: დიდი თუ პატარა და ამ გამოკვლევასაც ამბაკოს უნდა ვუმადლოდეთ.

.,ყოველი სოფლის ამბავი
არს ჩემგან დანადუსტარი,
მუდმივ ვადნები კალამსა
ჭიქაშიდ ჩანაკუსტარი!"

ამბობს ,,მელანი'', რაკი ,,პოეტით აქვს იმასნება'' და განა ეს სრული ჭეშმარიტება არ არის? ,,დანადუსტარი!!'' ,,ჩანაკუსტარი!!!''.

ბ-ნი მაღრაძე ამბაკო, იმით განირჩევა სხვა ,,სანაგვე პოეტებისაგან'', რომ ლექსთა სახელებში სრული სისტემა და წესიერება აქვს. რაკი ,,მელანი'' ახსენა, მყისვე მიაყოლა ,,კალამიცა'' და ,,ქაღალდიც'', მაგრამ თითო ,,განყოფილებიდან'' ჩვენ მხოლოდ თითო საგანს გაგაცნობთ. ამიტომაც დარჩეს ქაღალდ-კალამი ,,ჩანაკუსტარი'' და ჩვენ შევეხოთ ,,თევზის თავ-კუდსავალს''.

ნაცარქექია.

(დასასრული იქნება)

კვლავ ვიმღერებ.

,,კმარა, ნუ მღერ იმედის ხმებს,—
მეუბნება ბედით მტკბარი,
ფუჭ ოცნების ნაყოფია,
მომავალის ტკბილ სიზმარი,
ეტრფიალე მთვარეს მბრწყინავს,
ვარსკვლავთა გუნდს მოქათქათეს,
ხან ცის სივრცეს მიეწვე,
ხან გაეკარ მთების კალთებს.
ტრფობის წალკოტს დაუმოყვრდი
გამონახე კეკლუცები:
ვნებით მთვრალმა მათ გულ-მკერდზე
უხვათ ჰკრიფე ყვავილები.

—

არა, არა, ჩემზე არ სჭრის
ამნაირი დარიგება!
ეგ ჩემთვის არ დაწერილა
საარშიყო ტრფობის მცნება.
ვერ ვენდობი ოცნების ფრთებს,
ცის ბრწყინვალ ეგულმკერდ წიაღს,
როს ცრემლს აფრქვევს დამაშვრალი,
მე ვერ მოვკრეფ ვარდს და იას!
მერე რა ვქნათ, ზოგს უკმეხათ
ესმას ჩემი ჩანგის ყღერა
და ბრძოლისა მედგარ ჰანგით
მოეშხამოს გულის ძგერა!
სამაგივროთ ჩაგრულთ გულში
მას ჩავაქსოვ შვების წინდათ,
განთიადის ჰიმნს ვუმღერებ
და გადვიხდი ჩემს ვალს წმინდათ.

დ. თურდოსპირელი.

მესტვირული.

(„წუთი სოფლელისათვის").

წუთი სოფლისა ყოველი
ამაო წარმავალია...
„წუთი სოფლელიც ისწრაფის,
რომ მოიხადოს ვალია;
მან „ახლო მახლო" მოკრიფა
დურმიშხანული ლალია,
„შინაურ საქმეს" მიუძღვნა
ეგე ძვირფასი თვალია.—
სადურმიშხანოთ აქცია
სასულიერო „ორღანო"
(სჩანს გაწვრთნილი აქვს ამაში
მას სამეტყველო ორგანო.)

ფილოსოფოსობს კირილე;
ყრმას ურჩევს: „იყავ მუნჯიო,
რასაცა ფიქრობ, ნუ იტყვი,
რაც ნახო, მაზედ ნუ სჯიო.
ბუნების კანონს განმარტავს,
იგონებს ვარდს და იასა;
ადრე გამოსულ კოკორსა
და მერე ყინვას დიადსა..
ამას უფარდებს ყრმისა ნიჭს...
(ცუდია ანალოგია...
ყრმის ნიჭს გაჰყინავს კირილე
და მისებრ შავი ჯოგია.)
იმ „ახლო მახლო“ რაც ნახე,
ჩვენც გნახეთ „წუთი სოფლელო“
ცხედრისა მაინც არ შეგრცხვა,
ცოცხლების ცუდის მყოფელო?!
დურმი'შხანული ფანდებით
ლამობდი აცოცებასა,
მაგრამ წაგიხდა განძრახვა,
«იქ» არ ამბობენ ქებასა.—
ჩვენც გაგიცანით, ვინც იყავ
ცხვრის ტყავში გამოხვეული,
შორს ჩვენგან! ვინძლო, გიხილოთ
განმარტოებით ეული.—

კრიჭა.*)

დეპეშები.

(ჭოტის საგენტო)

დიდი-ჯიხაიში. შესდგა სამთა კავშირი: ,,პროვიტელსტვენი'' მამასახლისისა, ,,სმოტრიტელი'' სერგოსა და ბლაღოჩინი სამსონისა. სერგო უკვე გადასახლდა სოფლის კანცელარიაში; ამბობენ, მალე მამა სამსონიც იქ მოიკალათებსო.

იქიდანვე. ხუთშაბათ ღამეს სერგომ სიზმარი ნახა: თითქოს მამასახლისს არსენალი აღმოეჩინოს. განთიადისას ის კანცელარიაში მიიჭრა—დახვდა აღმოჩენილი ერთი საჩიტე თოფი. დაღონდა სერგო და სთქვა:—რა კარგი სიზმარი იყო, რომ ავად არ ამხდენოდაო!

იქიდანვე. სერგია დიდის ,,რაზვლეჩენიე'ში'' ,,ვალეტს'' და ,,კოროლს'' შეტაკება მოუხდათ. პირველი მძიმეთ დაშავდა.

იქიდანვე. იმ კომისიის გამოძიებას, თუ რამდენი ქანქარი მიითვისა ყოფილმა მამასახლისმა ივ. ვაშაკიძემ, როგორც ბოქაული ალხაზაშვილი აცხადებს, გამოაქვეყნებენ 1920 წელს.

(ჩიკლიკიკოს საგენტო)

თელავი. ქალაქის თავმა თელავში საალყო წესები გამოაცხადა. ჰსურს დაიჭიროს ,,კახეთის დეპეშათა საგენტო''.

იქიდანვე. ვაჟების პროგიმნაზიის ,,დვორნიკათ'' თავისივე თხოვნით დაამტკიცეს ი. გორდეზიანი.

წინანდალი. მოხდა უბედურება. ბადუროვს გამოელია გრამაფონის ნემსები, რის გამოც საუფლისწულო მამულის მუშებმა მამასახლისს პეტიცია მიართვეს და ითხოვენ ნემსების გამოწერას უგრამაფონოთ ღვინის სმის იშტა არა გვაქვსო.

შალაური. დიდის ამბით იდღესასწულეს თავის სამშობლო შვილის ჩიჩუას ერთი წლის სამსახური. შალაურის ბაღი გაჩირაღდნებული იყო.

ენისელი. უალაგოთ დატოვეს მიხეილ ერანოსოვი.

(მ-ს საგენტო)

ბელაგორი (ხარაგაული). ოთხი წლის თავზე მოიხსენიეს 1906 წ. გარდაცვლილი მიბლიოთეკასამკითხველოს სული.

დარკვეთი. ფრანგების ,,შავი ქვის სარეცხ ქარხნის'' ,,ჯიუტი'' გამგე, როგორც იყო ,,ჭკუას მოვიდა'' და საბოლოოთ გადასწყვიტა, 8 საათის მაგიერ დარჩეს ისევ 10 საათი სამუშაო დღე...

ჭიათურა. უმუშევრათ დარჩენილებმა, ერთხმათ დაადგინეს, გამოიწერონ ერთი კარგი, მიღებული პროტექტორი, რადგან ქარხნებში უპროტექციოთ არავის იღებენ.

იქიდანვე. ვ. გველესიანმა ცირკულიარი გამოსცა: ვინც მის შესახებ ,,მათრახ'ში'' დაბეჭდილ წერილს წაიკითხავს, ორ ორი მუშტით დააჯარიმოს ყველანი. ამ ცირკულიარის დარღვევისათვის უკვე დაჯარიმებულ იქნა ვაჭარი შეყელაძე.

შ ა რ ა დ ა.

რბილი არის და მოქნილი,
ხან მშვიდია, ხან კი—ცხარე,
ხან თაფლი სდის და ხან ძმარი
ხან შარბათი ხან ძირ მწარე.
„პატარა და უღონოა'',
მაგრამ ხმალზეც უფრო მჭრელი!..
ბოლო მარცვალს რომ ჩამოსწყვეტთ,
ხელ'ში გრჩებათ თქვენ პირველი.
ეხლა სომხურ ერთ-ერთ გაზეთს
მოუნახეთ თქვენ სახელი,

---

*) ეგ ის „კრიჭა“ არ გახლავთ, რომელიც ორი-სამი წლის წ'ნათ „ოხუნჯში“ იკრიჭებოდა. ეშმაკი.

მხოლოთ თავში ორი ასო
არ ივარგებს შეუცვლელი:
მეორე წინ დაასკუპეთ
საქმე არის სულ ადვილი,
და წინიდანც მიუმატეთ,
ხელთ რომ გქონდათ ის ნაწილი.
რა გამოდის?! თუ ვერ მიხვდი
და შარადას დამიძრახავ,
გადაშალე ეს ჟურნალი,
იქ ამ სიტყვას ხშირათ ნახავ.
სადღეისო საშარადო
სიტყვა არის, დამიჯერე!
შენ კი... ღმერთი რად ახსენე?
პირჯვარი რათ გადიწერე?
„ვიჯმნი! ვიჯმნი!" დაიძახე,
თანაც ნაბიჯს აუჩქარე...
ბოდიშს ვიხდი, ტკბილი ღექსით
თუ რომ მართლაც გაგამწარე!..

ონისიმე

ინტერვიუ ფოთელ „ანათემასთან."

ფოთში „ანათემაზე" ბევრს ლაპარაკობენ. ამბობენ, ის „ეშმაკი" და „სატანაა"; ბევრნი კი (განსაკუთრებით კრიტიკოსები) წინააღმდეგს ამტკიცებენ. მეც დავინტერესდი. მეგონა, ანდრეევის „ანათემა" თუ არა, მისი ასლი მაინც იქნებოდა და სასტუმრო „ლონდონის" ნომერში ვეახელ ფრიად „ფილოსოფიურ" გვამს.

შეეაღე კარი.

— თქვენა ბრძანდებით „ანათემა"?!

— დიახ, მე გახლავარ, სახიერებასა ჩემსა არ უჩანს დასასრულ. მე ვწვდები უწვდომელს, მე არ გეგონოთ **უბრალო მამაკვდავი,** როგორც ამნაირი, ვწვდები „მცირე ტვინის" მიუწვდომელს.

— კატეგორიულ იმპერატივებზე რას იტყვით?

— მე ვარ კატეგორიულ იმპერატივების მატარებელი. ჩავყლაპე კანტი, კონტი, ფიხტე და გეგელი და მრავალი სხვა, მაგრამ ამ ფილოსოფეზოსში ყველაზე უფრო **დუბროვინ პურიშკევიჩები მომწონან,** რადგან მათია მომავალი. . როცა ყრუ ბრბო აყაყანდება რაღაც „მიუწვდომელ იდეალებზე", მე ჩუმ-ჩუმათ დუბროვინ პურიშკევიჩთან მიწერ-მოწერას ვმართავ. ვსთხოვ მათ აღმჭურვონ უფლებებით და ფოთში, რევოლიუციონერთა ბუდეში შექმნან „იადრო" ჭეშმარიტ-ფილოსოფოსთა. რომ ჩვენი პლანიური მოქმედებით ავლაგმოთ ეგ ყრუ და მოყაყანე ბრბო!

— ნება მიბოძეთ გკითხო, ბ-ნო გენიოსო, რომელ ბრბოზე ლაპარაკობთ?

— რომელ ბრბოზე? აი შავი ხალხი რომაა, მუშებს რომ ეძახიან. ისინი ბ-ნო ვოლდემარ, მეტად საშიში ხალხია. ჩემი ფილოსოფიური გენიალობა მუდამ იმას მიკარნახებს, რომ ჩვენ, მარილნი ამა ქვეყნისანი, ინტელიკტები, ვქმნით კულტურას, ვქმნით მომავლის იდეებს და ეგ ყრუ ხალხი, თავის გატალახებულ ხელებით დაერევიან ჩვენ მიერ შექმნილ „საუნჯეს" და დალეწენ. მე მძაგს ეგ ბრბო, საზიზღარი ბრბო! მე მათ ვაჩვენებ სეირს. დაე ახლა იყვირონ „მაღალ-მატერიებზე", ახლა გაჭკვლონ „მომავლის იმედებზე".

„ანათემას", მუცელი წამოებერა. თვალები „ჩარჩოებიდან" კინაღამ გადმოღვარდა და ბრაზმორეულმა ისე მაგრად გაარტყა თავისი „ჭეშმარიტელი" ხელი, რომ მაგიდა გადაკოტრიალდა და უჯრიდან მრავალ „ფილოსოფიური" ნაწარმოები გადმოიჭნა.

მე დავუწყე მშვიდება ანათემას და თვალიერება ბნეულ საუნჯეს, რომელთა შორის თვალი მოვკარ ერთ კრებულს («На рубежѣ»): იქ მსხვილათ ნაწერი ფურცლები ეწყო. გადავათვალიერე და შევნიშნე, რომ ის გაჭრელებული იყო სხვა და სხვა ლამაზ ფრაზებით.

— რა არის ეგ წიგნი?

— ეგ სალაროა საიდუმლოების. როცა თავს მომაწვება მაღალ იდეები, როცა მახრჩობს წყურვილი წერისა, გონება მერევა. ძლიერ მიყვარს მყვირალა (უკაცრავად) ლამაზი ფრაზები. აქ და სხვა წიგნებშიაც ისინი ბლომადაა გაბნეული. ვკრებ მათ ვაწყობ მძივებივით და „Батумскія Извѣстія"-ს ფურცლებზე გამოიჭიმება შეუდარებელი მეთაურები.

— ეგ ხომ პლაგიატობაა, ბ-ნო ანათემა, განა სხვის ფრაზებს კრებთ და მათ აწებებთ ერთმანეთს, ეგ განა საკადრისი საქციელია?

— ჰმ!.. მიპასუხა ანათემამ. ყველა მწერლები ჰპარავენ ერთმანეთს; ისინი თუ მთელ გვერდებს და ფურცლებს იპარავენ — მე ვიღასი მაჩანჩალა ვარ.

— კი მაგრამ თქვენ კოოპერაციებს რაღას ერჩოდით, ან სხვას ქურდობას რატომ უსაყვედურებდით?

— როგორაო? განა არ იცოდი რომ მე იქ შევდიოდი „გასაყნოსავათ". ყრუ ხალხი იჭინეულობდა. მე მინდოდა იქ „დისციპლინა", ჩვენებური, ჭეშმარიტული დისციპლინა. მე, როგორც მტერს ამნაირი დაწესებულებისას, ორგანიულათ არ შემიძლია „მუშურისას ადილო" მოთმენა, რაკეთუ, მოგეხსენებათ ჩემი მოვალეობაა — „ჭეშმარიტული საჩაიეს"

დაარსება. დიახ, ბ-ნო ვოლდემარ, მოზღვავებულმა და დაგუბებულმა შურისძიებამ უკვე ჰპოვა გამოსავალი. ჯერ ეს რაა? სულ სისხლს გავუშრობ ყრუ ხალხს. ავლჯვვი დედამიწის პირიდან.

— ყოვლის შემძლე ანათემავ, იხბაშს რათ უნდოდა თქვენი დათხოვა?

— სულ უბრალო რამისთვის. მე ხშირათ მიტაცებდა ხოლმე ფილოსოფიური აღმაფრენანი და ბალანსში (ანგარიშისდროს) მკვდრები და ცხენები „სკლადში" წლობით რჩებოდენ, მაგრამ ეხლა „აპრუნდი" ჩემი ძლიერი მეგობარი გახდა. მე ვაღმერთებ მის „რკინის ენერგიას და გაბედულებას", რამეთუ ის შესძლებს ალგავოს „კრამოლნიკი მუშები" დედამიწის პირიდან.. ბრბომ განიზრახა „გადაბრუნება"! არა, შესდეგ ყრუ ხალხო! ეხლა გატირ-გაცრემლებ, გაკვნესებ; იცით ვისან გაქვთ საქმე. ბრბო, მოსჩანს, ბრბო მემუქრება, საზიზღრები;... Эй караулъ! „братцы истинные".. დაიჭი—რ—ე—თ და—ი—ჭირეთ... ბრაზმორეულ „ანათემას" ხმა სულ აუკანკალდა.. სახე წამოებერა, თვალები კინაღამ გადმოუცვინდა და ისე ძლიერ დაჰკრა მაგიდას ხელი, რომ ყირამალა გადმოტრიალდა და შიშმა მეც შემიპყრო (ვა, არ მაგემებიოს, ჭეშმარიტული' თქვა) და მყისვე მოვქუსლე სასტუმროდან.

ვოლდემარ

სერენადა

(თავისუფლებას)

მე კვლავ აქა ვარ, შენს სარკმელთანა
ვით სამსხვერპლოს წინ მუხლებ მოყრილი,
კვლავ ხელთ მიპყრია ჩანგი გრძნეული
შენს სადიდებლათ ციდან მოძღვნილი...

ისევ ვაჟღერებ სიმებს ვით მაშინ,
მძაფრმა ქარბუქმა ვერ მოკლა გული,
ვერ დაამსხვრია წმიდათა წმიდა,
ვერ აღმოფხვრა გულს სიყვარული..

ტურფავ, მისმინე, მე გრძნობათ ვდნები,
გადმოიხედე, ხილვა მაღირსე,
და როგორც მაშინ—პირველ ნახვის დროს,
შენს მგოსანს გული შვებით აღმივსე...

მე ერთგული ვარ შენი, ძვირფასო,
შენი ხატება ღმერთად გადმექცა
და ვერ აღმოფხვრის ამ გრძნობას წმიდას
თვით ჯოჯოხეთი, ცეცხლ მფრქვეველი ცა

აკი მიდამო გენიათ მექცა,
ცამ მეხით მჭექმა თავს დამატირა,
ზღვა აბობოქრდა ჩემს დასათრგუნათ,
ერთგული ნავი ქვესკნელს ჩასძირა..

ბულბულის ნაცვლათ ყვავმა დამჩხავლა,
ცრემლოათ დამიდნა დედა მშობელი,
დემონმა ღრეჭით ფრთა მომაფარა
და გამიმეფა უკუნი, ბნელი..

მარა მე მაინც ვერამ დამძლია,
ვერავინ ჩაჰკლა გულს წმიდა გრძნობა,
მუდამ მშველოდა, ჩემო ღვთაებავ,
ცხოვრების გზაზე შენდამი ტრფობა..

და კვლავ აქა ვარ მე შენს სარკმელთან,
ისევ გიმღერი, ისევ შეგხარი,
მინდა გიხილო ისევ მშვენებავ,
მინდა გაგიღო საკანის კარი...

მაშ გადმომხედე ბნელს არ უშინდე,
შენს თავსა გფიცავ, გაქრება მალე...
ჰა, განთიადიც მგონი ბნელსა ფხრეწს!..
ერთი მეჩვენე, შენ გენაცვალე?..

ვ. მალაქიაშვილი.



დეპეშები. (შემთხვევითი)

სუჯუნა. როდესაც ადგილობრივ სამკითხველოს პანაშვიდს უხდიდა, მამა ფილიმონს გული შეუწუხდა.

ზანათი (სამეგრელო), ამ ახლო მომავალში ადგილობრივი მედუქნე იაგორა წაიკითხავს საინტერესო ლექციას: „როგორ უნდა ვებრძოლოთ კოოპერატიულ მოძრაობას". ამბობენ, საკუთარი თეორია შეუდგენია ამის შესახებაო.

იქიდანვე. ადგილობრივი სკოლის მასწავლე-

ბელმა მიხამ მოიგონა ახალი ენა სამეგრელოს სკოლებისათვის. აი ნიმუში: ეკითხება მიხა მოსწავლეს:

— ქომიწი, რით ლოვიატ თევზსა?

— რიბუს იჭერენ ანკესით, უპასუხებს ბავშვი·

გუდაუთი. როგორც ამბობენ, ახალ-მოსული ფოსტის მოხელე პავლე ვარშამოვი მეტის მეტად თავაზიანი კაცი ყოფილა. თუ ხელ-ქვეითმა ,,ჩესტი" არ გაუკეთა და ისიც ორივე ხელით, მაშინვე ხელს დააბანინებს სამსახურზე.

გოჩაჯიხაიში. ზედამხედველს ძიმისტარაშვილს და მასწავლებელ ზაგნიძეს შუამდგომლობა აღუძრავთ: სავალდებულო საგნათ ჩაითვალოს კარტის თამაშიც.

ნახახულევი. გაფლანგულ ფულების შესახებ დიდი ბრძოლაა.

მათხოჯი. დაიკარგა შვიდი თვის წინათ სამკითხველოს გამგეობაში წევრათ არჩეული მღ. ი. ჩ—ძე.

სამტრედია. ჩვენს დაბას გაპოსადება მოელის. ამის გამო ამზადებენ ახალ ქაობებს დუქნების წინ

იქიდანვე. სამტრედიიდან თფილისში დეპუტაციას აგზავნიან ნასწავლ ძაღლების სათხოვრათ. უნდათ აღმოაჩინონ ამ წინაზე დაკარგული სანიტარული კომისიის თავმჯდომარე.

აბაშა (სამეგრელო). როგოთც გამოირკვა, კვატანის სკოლაში მომხდარ სროლის დროს, გარდა ოთახის ჭერისა და იატაკისა არავინ დაშავებულა. ამბობენ ყმაწვილებს ბახუსი მოეჩვენათო.

მ ო წ ო დ ე ბ ა.

(თფილისის სქონლის სადგურიდან)

ძმაო ეშმაკო! ჩვენ, მუშებს,
შენზე ცოტა გული გვწყდება,
ვინაიდან ამ ჩვენ სადგურს
არ ნახულობ—გავიწყდება.
შორე რბენას, ის გაიგო
აქ, ცხვირის წინ თუ რა ხდება?
და თუ ჩქარა არ გვესტუმრე
იცოდე რომ საქმე ხდება.
ხუთი კაცისაგან შესდგა
„აბრუნდათ ოპოზიცია"
და სხვა და სხვა ოინებით
გაიმაგრეს პოზიცია
მიზნათა აქვთ. პროგრესისტებს
გაუწიონ „მკაცრი ბრძოლა,"
(მშვენივრათაც ეხერხებათ
ქიხვინი და მჯილით რჩოლა.)
ერთ მათგანს ძმით მოსწონს თავი,
დანარჩენებს გურულობით;
დონკიხოტობას იჩენენ
„სიბრძნით და გაბედულობით."
ლიდერია „მჭევრ-მეტყველი"
— „ხალხს ეს სურსო" „მეცნიერობს"
და ამ ხერხით ცდილობს იგი
ხალხი მოიმადრიელოს.
(ნამდვილათ კი ასე არის
გაზარდოს-გააძლიეროს.)
შემდგომად კი მღვრეულ წყალში
ალბათ უნდა თევზის ჭერა,
მაგრამ ამ „დიდებულ მიზანს"
მან ვერ მიაღწია ჯერა.
და შეგნებულთ ,,ფლიდობაში"
თუმც ხალხი ვერ ვერ დააჯერა
მაინც ყვირის: ,,ჯვარს აცვითო!!.."
ხალხი ამბობს: ,,ვერა, ვერა! ."

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ

კ. პ. კანდელაკისა

კოოპერაცია

თეორია, ისტორია და პრაქტიკა

წიგნის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ნაღდფულზე შემდეგის ადრესით: *Тифлисъ, Типографія Шрома В. К. Болквадзе.*

ვინც არა ნაკლებ 50 ცალისა გამოიწერს, დაეთმობა 25%.

ვისაც სურს პროვინციებიდან თითო ცალი გაიწეროს, შეუძლია გამოგზავნოს შვიდი შაურის მარკები და ამ ფოშსი მიიღებს თავის ადრესზე.

იყიდება „შრომის" სტამბაში

და აგრეთვე გაეგზავნებათ მსურველთ:

1909 წლის „ალმანახები" 7 ნომერი
და „მათრახი და სალამური" 29 ნომერი
ერთად შეკრული . . . . 2—50 კ.

ახალი იერიში



როგორც გავიგეთ, ქუთაისის ,,კეთილშობილთა'' ცირკში კვლავ მომხდარა მეტათ საინტერესო შეტაკება. ევგენი გეგეჭკორის წინააღმდეგ გამოუშვიათ ლეჩხუმის მთებიდან ჩამოყვანილი ზუბრი. მთელი ,,საზოგადოება'' აღტაცებაში მოიყვანა ზუბრის ახოვანებამ და ,,კეთილშობილურმა'', თავგანწირულმა ბრძოლამ. ამიტომ, მიუხედავათ მისი დამარცხებისა, ამბობენ ,,გუბერნიის ჩემპიონობას'' უბოძებენო.

საეშმაკო უსტარი გურიიდგან.

ეშმაკო, ჩემო ბიძია,
შენთან ბაასი მწყურია;
შენის ბრძანების ფირმანით
ჩამოვიარე გურია.

დადგა დიდ-მარხვა თუ არა, შიშისა გამო ლობიისა დაუტევე სახლი, აღვიღე კვერთხი სამგზავრო, გადავიკიდე ტაბარჯუნი და შევშდექ მიმოვლას გურიისას.

ჰაი, ჰაი, ჩემო ბიძია, რომ მე ვერსად „შაგს“ ვერ გადავდგამდი, თუ ჩვენს ლოფელში მამადიანი მთავრობის მამასახლისი ყოფილიყო—მინდოდა, თუ არ მინდოდა, ვიყავი ღირსი თუ არა, უნდა მეთქვა აღსარება და მიმეღო წმინდა ზიარება. გიახელი ჩოხატოურში. დიდი-მარხვის პირველი დღე იყო. ბრძანების თანახმათ ყველას დაემდგურა ხსნილში ნახმარი პურეული და ზიარებისთვის ემზადებოდენ... ლობიოს გამოვექეცი, მაგრამ ლობიოს მეტი აქაც ვერაფერი ვიშონე—ასეთი იყო ბრძანება—ბრძანებელისა—თავისუფლებარწმენისა. ბრძანებელი კი საჯავახოს წასულიყო ბაზიერებით სანადიროთ. გამარჯვების ალსანიშნავათ ბოქლომდადებულ დუქნებს ამნისტია უყო და გაანთავისუფლა.

ჩოხატაურიდან ნიგოითში ვცოცხე... მინდოდა ზოგიერთა ვაებატონების ნახვა. სახლში არავინ არ დამხვდა. ყველა ეკლესიაზე იყო. ბრძანების თანახმათ რვა წლის „ზედაველი“ ყველა ზიარებისთვის ემზადებოდა. მინდოდა მომეცადა თედორობის შაფათამდე და ჩემის თვალით მენახა ეკლესიაში „პაჟარი“, ხომ იცი ზიარება „ცეცხლია ულირსთა დამწველი“, მაგრამ საქმე გამიჩნდა ლანჩხეთში და იქით გავეშურე.

ჩემო ეშმაკო, ჩემო ბიძია, სულზედ უტკბესო! თუ არ გინახავს ლანჩუთი, გთხოვ ინახულო. ან კი რას ნახავ შენ უკეთესს ამ ქვეყანაზე.

დიახ, ჩავედი ლანჩხუთში სწორეთ დიდ-მარხვის პირველ კვირიაკეს

და მუნ ვნახე ქალთა კრება;
გეფიცები, მათი ნახვა
ეხლაც ისევ მენატრება.

ოთხასი კეკლუცი ქალი შლიაპიანი და უშლიაპო, რამოდენიმე დარბაისელი მანდილოსანი—ბარიშნები და ქმრიანები—სკოლაში მოწაფეების სკამებზე მსხდომარენი, ფიხ კომისიის წევრები. არც ერთი კაცი... ყველა აღტაცებული გამსჭვალული ერთი აზრით. ამ ოთხი თვის წინათ „გაკუპებულ“ ქალებს გადაუწყვეტიათ, ააშენონ თეატრი. აღურჩევიათ კომისია, შეუძენიათ უფასოთ რამოდენიმე ასათ ღირებული შენობის მასალა. ჯერი მიდგა ეხლა ადგილზე—თუ სად აშენდეს. თუ ამდენხანს ერთსულოვნათ მუშაობდენ—ახლა აირია მონასტერი *). რა იყო მიზეზი? მოკლე და ადვილი გასაგები. ყველა კომისიის წევრი ქალი რომ ერთი ოჯახიდან ყოფილიყო, მსგავსი არაფერი არ იქნებოდა, მაგრამ რაკი სხვა და სხვა კუთხის დარჩა, შეიქნა ასვარია-დასვარია. გაჩაღდა ჩვეულებრივი კუთხობანაკ. ლანჩხუთი აბა რა იმოდენა დაბაა, რომ ეშოროს ვინმეს, რაგრამ ყველას მის ეზოში სურს—ქვედოურებს ღელის პირში უნდათ დუქნებში ჩაჩხირული, ცენტრალისტკებს ასკურავას ეზოში, შუა ადგილიაო, ზედოურებს კიდევ ზვივთ ყორდანიას ეზოში. ყველა ესენი ერთიერთმანეთზე რამოდენიმე საჟენით არის დაშორებული, მაგრამ მაინც იწვეს მედგარ ბრძოლას. ასე გასინჯეთ ქვედა პარტია ვერ დააცხრო ზედა პარტიის ბიერ მიწის უფასოთ შოვნამ. რას მიქვია შემოწირულება, კაბას ვიყიდი და იქ ვიყიდი, სადაც უკეთესიაო. ბრძანებდნენ მშვენიერ სქესის წარმომადგენელნი. მაგრამ, ეშმაკი გულთანხილავიაო, მე და მგონი შენც თეატრი იმდენათ არ ვინტერესებს, რამდენათაც ამდენი ქალების ერთად გამოღვიძება.

რა უყოთ რომ კინკლაობაა, ჩვენ გვრწამს, რომ ბოლოს მაინც გაიმარჯვებენ, შეთანხმდებიან და ერთხელ დატრაბახებულ გახრიალებულ საქმეს, ბოლოს მაინც სასარგებლოთ და სასახელოთ გაათავებენ. და ივარა, მაშინ...

კრების შემდეგ ბაზარი ჩამოვიარე, დავაკვირდი „ვივესკებს“ და სხვათა შორის ჩემი ყურადღება ერთმა მიიპყრო. ზედ ასე იყო წარწერა:

„ПРІОМЪ
БОЛНЫХЪ
и
Акушерство наружныхъ и внутренныхъ болезнеы.
Медицинскій фелшеръ Иванъ Меликидзѣ.

ბევრი რამ ვისმინეთ ამ „ნარუკი აკუშერზე“, მაგრამ ეს შემდეგ, თუ დარჩა საჭირო და არ მოიშალა ჯიბის აკუშერობა და საიქიოს პასპორტის წერა.

ასპიტი.

*) ოჰ, რა ძნელია მონასტრის არევა და ისიც ქალების მონასტრისა! ეშმაკი.

წერილები რედაქციის მიმართ.

პასუხათ ბ-ნ „ერთს.“

«მათრახ-სალამურის» № 8-ში მოთავსებული მქონდა „შეკითხვა ეშმაკისადმი“ მიხაილოვიდან, რომელშიაც ბრალს ვდებდი მიხაილოვის დეპოს ზოგიერი მუშებს, ციდის წამებაში, რითაც მათ ერთი ბურ-ხაური და შეოთი კამოაწვეს მუშებში...

ჩემს მოწინააღმდეგეებს რომ იოტის ოდნა სიმართლე ქონებოდათ,—ბევრ ღობე ეორეს არ მოედებოდენ, და პირდაპირ ს. ს სიმართლეს, რაზედაც ისინი ერთ დროს „თანხმა“ „ეგენ—შემართავდენ და საქმეს ამ კურტულად სიშვალებით გაათავებდენ... მაგრამ კულტურულ სიშვალებას კულტურული ადამიანი უნდა... ამათ კი მხოლოდ ციდის წამება და შეოთი ეხერხებათ, ხოლო დამტკიცებას ცეცხლიანი კაურბიან. . ამიტომაც, ეს ვაებატონები ბ. „ერთის“ პირით, „მათრახ-სალამურის“ № 9 ში მე „პასუხის დირსადაც არ მცნობენ და მხოლოდ შეითხვენ სიზოგადოებას მიმართავენ შემდეგი სიტ ვებით:

1) „ბ. ახ—ის არა სწამდა უმრავლესობა და მისი გადწყვეტილება; 2) მას მუდამ მიეჩნდა თავისი თავი უცოდველ პაპად და მსად იყო, დიდი უმრავლესობის აზრი ფეხით გაეთელა. ამიტომ, ახ—ის ასეთ თვითნებობას და სხვა საქციელს მსჯავრი დაუდვეს და ასეთი დადგენილება მიიღეს:

„ახ—ი, როგორც ნერგვეთ აყათმოფი, უკიდურესი ეგოისტი, გარმეოფელი ოფველგვარ სიზ გადა დადგენილებისა. გადარიცხოს ისეთ ერში, სადაც იმისთანა მდგდლებს საჭი ოებენ“-ო და სხვა...

ოფველივე აქ ამონაწერი სიმართლეს მოკლებულია

და გამოწვეულია სულ სხვა, პირადული ინტერესებით მხოლოდ „დადგენილებას“ რომლითაც მე „სხვა ერში გადაუწყვეტებიყარ“—გამოიტანეს ბ. „ერთმა“ და მისმა 5—7 ამხანაგებმა, რაზედაც სხვა მუშები დიდი წინააღმდეგნი იყვნენ... და მოითხოვდენ საქმის გამოძიება გარჩევას... ამის შესახებ შედგა კიდეც ს. სასამართლო, რომელსაც საქმე უნდა გაერჩია, და ბ. „ერთი“ და ამხ. „თანახმა გახდენ... მაგრამ შემდეგ, მათ თავი გლახათ იგრძნეს და „თანხმობა“ უარყოფაზე შესცვალეს,— სასამართლოს, უკანასკნელის მოთხოვნილებისამებრ, „საბუთების“ გადაცემაზე უარი უთხრეს...

ეს არის და ეს... ამ უარის მოწმენი ბევრნი არიან და გვიკვირს, რომ ბ. „ერთი“ და ამხ. ამის შემდეგ ათასგვარ ღობე-ყორეს ედებიან და საქმის მიფუჩეჩებას, სასამართლოს უარყოფით ცდილობენ..

ვინაიდან აქ პირადულ, კერძო ინტერესების ნიადაგზე საზოგადო ინტერესები იჭყლიტება,—საჭიროთ მიმაჩნია ამ საქმის აუცილებლათ ს. სასამართლოსგან გარჩევა, რისთვისაც ვაძლევ წინადადებას ბ. „ერთს“ და მის ამხ. რომ გადასცენ მათ ყოველივე „საბუთები“ ხსენებულ სასამართლოს...

დეე, სასამართლომ გაარჩიოს საქმე და მათვე გამოამზეურონ ამავ „მათრახ სალამური“-ს ფურცლებზე, თუ ვის რომელ „ერში“, თუ ბანაკში ეკუთვნის ცხოვრება... დიახ! სასამართლო და მხოლოდ სასამართლო!.. გინდ სამედიატორო, გინდა საამხანაგო. ვინც ამას უარს ყოფს,—ის სიმართლეს გაურბის... და ჩვენც, მზათ ვართ, ასეთებს ინტრიგანები და ცილის მწამებლები ვუწოდოთ...

პატივისცემით **ახ—ი**

დიდი იაფი ვაჭრობა კიდევ ექვს დღეს

პ. ს. დოროჟნოვი

სოლოლაკის ქუჩა, გურგენოვის სახლი, ტელ. **№ 583**

რომ მთლათ გაიყიდოს იაფ ფასებში გასასყიდათ დანიშნული საქონელი,

იაფი ვაჭრობა გრძელდება კიდევ ექვს დღეს!

ე. ი. 15, 16, 17, 18, I9 და 20 მარტს

ყველა დარჩენილი საქონლები
ზემოაღნიშნულ დღეებში,
გაიყიდება იმავ იაფ ფასებში.

საოცარი იაფი ფასები

ამ სეზონისთვის ყველა სპეციალურ განყოფილებებისთვის ვღებულობთ მრავალ სხვადასხვა საქონელს.
ქალაქ გარეთ მყიდველებს გაეგზავნებათ საქონლების ნიმუში უფასოთ. პ. დოროჟნოვი

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა“ რუს. ქ. № 3. რედაქტორ-გამომცემელი **ე. ტურაბელიძე**.

ჟურნალისტების კრება.



მსახური. მოაწერეთ, ბატონო, თქვენი სახელი **და** გვარი!

ჟურნალისტი. რა საჭიროა მოწერა! განა სულ ერთი არ არის?

მსახური. თუ ყველა ასე იტყვის, მაშინ კრებაც არ შესდგება.

ჟურნალისტი. (ჩუმათ) თუ ეგრეა, გთხოვთ თქვენ მოაწეროთ ჩემ მაგიერ. ის კი არ იფიქროთ, თითქო მე წერა-კითხვა არ ვიცოდე! პატიოსნებას გეფიცები...

მსახური. (თავისთვის) დასწყევლოს ღმერთმა, ყველა ეგრე ამბობს... მოდი და ენდვე მაგათ პატიოსნებას!!